სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი
32004060727824

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

ფიზიკური პირის მიერ პირდაპირი ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებებით მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N240480882

რეგისტრაციის თარიღი

20.04.2024 წ

ნოტარიუსი: თეიმურაზ კვირიკაძე
მისამართი: ქ. თბილისის, ალექსანდრე პუშკინის N19
ტელეფონი: 598700988

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge
ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო

სანოტარო აქტი

ორი ათას ოცდაოთხი წლის ოც აპრილს მე, ნოტარიუს **თეიმურაზ კვირიკაძეს**, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქალაქი თბილისი, ალექსანდრე პუშკინის ქუჩა, №19-ში, პირდაპირი ელექტრონული კომუნიკაციის საშუალების გამოყენებით დამიკავშირდა **გიორგი ბოხოჩაძე**, წარმომიდგინა საქართველოს მოქალაქის პირადობა, განაცხადა რომ, ამჟამად იმყოფება ლონდონში და იმის გამო რომ ვერ ახერხებს ნოტარიუსთან მისვლას სურს ნოტარიუსის წინაშე ონლაინ რეჟიმში შეადგინოს მინდობილობა და ნოტარიუსმა დაადასტუროს იგი სანოტარო წესით. მე დავადგინე მისი პასპორტი სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს სამოქალაქო რეესტრის ელექტრონული მონაცემთა ბაზის და პირდაპირი ელექტრონული საშუალებით წარმოდგენილი პასპორტის მეშვეობით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად **გიორგი ბოხოჩაძე** (დაბ.**02.07.1989**წ. რეგ. და მცხოვრები მისამართზე: **საქართველო, ქალაქი თბილისი, ჟიული შარტავას ქუჩა, N 38, ბინა 10,** პირადი № **01024059708, პასპორტის ნომერი 15BB73803, გაც. 16.11.2016წ. სსგს თბილისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის** მიერ) დამიკავშირდა. სანოტარო მოქმედების შესრულებას ესწრებოდნენ: **რატი რატიანი** (დაბ.**26.09.1985**წ. მცხოვრები მისამართზე: **თბილისი ანდრია ბენაშვილის ქ. N 7/14 ფ. 8,** პირადი № **01030031446**), როგორც მინდობილობის გამცემის ნდობით აღჭურვილი პირი (ხელმომწერი) და **ერეკლე ნუცუბიძე** (დაბ.**04.12.1988**წ. მცხოვრები მისამართზე: **საქართველო, ქალაქი თბილისი, სამტრედიის ქუჩა, N 15, ბინა 10-11,** პირადი № **01005028032**) როგორც მოწმე. **გიორგი ბოხოჩაძემ** განაცხადა, რომ პირადად იცნობს **რატი რატიანს**. სანოტარო მოქმედების ყველა მონაწილე (მოწმის ჩათვლით) გავაფრთხილე მოწმეობის გამომრიცხავ გარემოებების შესახებ, მათ შორის იმ გარემოების შესახებ, რომ მოწმე სანოტარო მოქმედებით არ უნდა იღებდეს სარგებელს პირდაპირი ან არაპირდაპირი სახით; მოწმე არ უნდა იყოს სანოტარო მოქმედების მონაწილე რომელიმე მხარის და/ან ნოტარიუსის ნათესავი აღმავალი და დაღმავალი ხაზით მესამე რიგის ჩათვლით. მხარემ და მოწმემ დაადასტურეს მოწმეობის გამომრიცხავ გარემოებების არ არსებობის ფაქტი.

მე, ნოტარიუსი ვადასტურებ, რომ სანოტარო მოქმედების მონაწილეთა ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ გამჩენია. მე, ნოტარიუსმა, სანოტარო მოქმედების მონაწილეებს განვუმარტე სანოტარო მოქმედების შინაარსი და მისი შესრულების სამართლებრივი შედეგები, აგრეთვე ის, რომ მინდობილობის გამცემს უფლება აქვს ნებისმიერ დროს გააუქმოს ეს მინდობილობა, რის შემდგომაც, **გიორგი ბოხოჩაძემ** ხელმომწერისა და მოწმის თანდასწრებით მიკარნახა შემდეგი შინაარსის მინდობილობა:

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

მე, **გიორგი ბოხოჩაძე** (პ/ნ **01024059708**) ამ მინდობილობით ვანიჭებ **მარინე კავთელიშვილს** (დაბ.**24.10.1984**წ. პირადი № **01014003472**) შემდეგ უფლებამოსილებას:

რწმუნებული უფლებამოსილია იყოს ჩემი წარმომადგენელი იუსტიციის სახლში, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, ადმინისტრაციულ ორგანოებში, თბილისასა და ნებისმიერი მუნიციპალიტეტის მერიასა და მის დაქვემდებარებაში არსებულ ნებისმიერ დაწესებულებაში, არქიტექტურის სამსახურში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში, მუნიციპალურ ინსპექციაში, თვითმმართველობის ორგანოებში, გამგეობაში, საკრებულოში, აღიარებისა და ლეგალიზების კომისიებში, ქონების მართვის ეროვნულ სააგენტოში, კომუნალური მომსახურების სამსახურებში, საკომუნიკაციო დაწესებულებებში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან ურთიერთობაში, მოახდინოს ჩემს საკუთრებაში არსებული ნებისმიერ უძრავი ქონებების გაყოფა/გამიჯვნა/გაერთიანება,აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით უფლებამოსილი ორგანოდან მიიღოს ნებართვა/თანხმობა და განახორციელოს ცვლილების რეგისტრაცია გაყოფა/გამიჯვნა/გაერთიანებასთან დაკავშირებული ცვლილება, მათ შორის კოორდინატთა სისტემაში. ჩემი სახელით მიიღოს გადაწყვეტილებები, გასცეს თანხმობები, ხარვეზის შემთხვევაში აღმოფხვრას ხარვეზი, შეიტანოს და განიხილოს საჩივარი, მიმართოს განცხადებით შესაბამის სამსახურებს, წარადგინოს/მიიღოს დოკუმენტი/ინფორმაცია, მოახდინოს დოკუმეტის და/ან აზომვითი ნახაზის რეგისტრაცია მარეგისტრირებელ ორგანოში, ხელი მოაწეროს ყველა საჭირო საბუთს და შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც წინამდებარე მინდობილობით მინიჭებული უფლებამოსილების განსახორციელებლად იქნება საჭირო.

ამ მინდობილობით დაუშვებელია უფლებამოსილების გადაცემა სხვა პირზე.

მინდობილობა გაცემულია **სამი** თვის **ვადით,** ორიათას ოცდაოთხი წლის ოცი ივლისის ჩათვლით.

წინამდებარე მინდობილობის ტექსტი ჩავიწერე მე, ნოტარიუსმა **თეიმურაზ კვირიკაძემ**, რომელიც პირდაპირი კომუნიკაციის რეჟიმში წავუკითხე მინდობილობის გამცემს. მან დამიდასტურა, რომ მინდობილობის ტექსტი სრულად შეესაბამება მის ნებას და რომ მინდობილობის შედგენისას იგი არ იმყოფება რაიმე სახის ფიზიკური, ფსიქიკური ან რაიმე სხვა სახის ზეწოლის ქვეშ და რომ მის ნაცვლად მინდობილობის ტექსტზე ხელის მოწერის უფლებას ანდობს **რატი რატიანს.**

მინდობილობას ვადასტურებ სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი რჩება სანოტარო ბიუროს არქივში.

გადახდილია სახელმწიფო ბაჟი თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის N507-ე დადგენილებისა „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის სახელმწიფო ბაჟისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ", **სულ: 65. 00 (სამოცდახუთი) ლარი.** მათ შორის: მუხ. 32 – 60. 00 (სამოცი) ლ. მუხ. 39 – 5. 00 (ხუთი) ლ.

მინდობილობის გამცემის თხოვნით, ხელს აწერს:

მოწმე:

ნოტარიუსი: